

## სავალუტო რისკების მართვა

თიბისი ბანკის მიერ შემუშავებული სავალუტო რისკების მართვის სპეციალური ინსტრუმენტების გამოყენებით, თქვენ საშუალება გეძლევათ თავიდან აიცილოთ სავალუტო კურსის ცვალებადობით გამოწვეული რისკი.

### სავალუტო ფორვარდი (FX Forward)

სავალუტო ფორვარდის გამოყენებით თქვენ საშუალება გეძლევათ დააკონვერტიროთ სასურველი ვალუტა წინასწარ განსაზღვრული მოცულობით და ფიქსირებული კურსით, მომავალი თარიღისთვის.

- კონტრატაცია შესაძლებელია ყველა ძირითად ვალუტაში;
- მინიმალური თანხა - 50,000 აშშ დოლარი ან მისი ექვივალენტი
- ფორვარდის პერიოდი განისაზღვრება 7 დღიდან 3 თვემდე
- ფორვარდული გარიგებები შეიძლება განხორციელდეს ერთ ფორვარდ დღეზე, ან დაიყოს რამოდენიმე ფორვარდ დღეზე კლიენტის სურვილისამებრ

### სავალუტო სვოპი (FX Swap)

სავალუტო სვოპის მეშვეობით შეგიძლიათ განახორციელოთ ერთი ვალუტის კონვერტაცია მეორეზე გარიგების დადების დროს მიმდინარე საბაზრო კურსით, ხოლო მომავალში - უკუკონვერტაცია წინასწარ დაფიქსირებული კურსით.

- კონვერტაცია შესაძლებელია ყველა ძირითად ვალუტაში;
- მინიმალური თანხა - 100,000 აშშ დოლარი ან მისი ექვივალენტი სხვა ვალუტაში;
- სვოპ გარიგების პერიოდი განისაზღვრება 7 დღიდან 3 თვემდე;

### არაკონვერტირებადი ფორვარდი (NDF)

არაკონვერტირებადი ფორვარდის გამოყენებით თქვენ გეძლევათ საშუალება დააზღვიოთ საკურსო სხვაობიდან მიღებული ზარალი და ამავდროულად ფორვარდისგან განსხვავებით გარიგების შესრულების თარიღისთვის კონვერტაციის შესრულება არ არის სავალდებულო. თუ კონვერტაცია არ შესრულდება, მაშინ იანგარიშება მხოლოდ საკურსო სხვაობა ფორვარდულ კურსსა და მიმდინარე ოფიციალურ კურსს შორის, და სხვაობით მიღებული თანხის შესაბამისად, ხდება გარიგების მხარეებს შორის ანგარიშსწორება.

- არაკონვერტირებადი ფორვარდის გაფორმება შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ USD/ GEL სავალუტო წყვილზე
- მინიმალური გარიგების თანხა - 50,000 აშშ დოლარი;
- არაკონვერტირებადი ფორვარდული გარიგების პერიოდი განისაზღვრება 7 დღიდან 3 თვემდე;